ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი საქართველო

№ 4 (3)
Berlin, 5. April 1925
პერიოდიული ორგანო გ. ვეშაპელის რედაქციით
Georgische Zeitschrift „Das Neue Georgien". — Redakteur G. Weschapeli.
Preis 25 Pfennig.

რეალურ საქართველოსთვის

I. ორიენტაციის საკითხი

(საქართველოს გასაბჭოების ოთხი წლის თავზე)

ოთხი წლის წინ მოხდა ბრძოლა საქართველოს გასაბჭოებისათვის.

ამ ბრძოლაში ქართულ ბოლშევიკურ მთავრობას გაბედულათ ეხმარებოდა მისი მონათესავე საბჭოთა რუსეთის ძალა.

ხოლო ძველ მენშევიკურ მთავრობისადმი მეგობრულად განწყობილ საფრანგეთის ესკადრამ გაუბედავად გაისროლა აფხაზეთის (გაგრის) ფრონტზე რამოდენიმე ყუმბარა.

და აი მაშინ ჩამოყალიბდა ის პოლიტიკური იდეა, რომლისთვისაც მასუკან ეს ოთხი წელიწადი, აჯანყებამდის, იბრძოდენ ქართული ანტიბოლშევიკური პარტიები, ესე იგი, თითქმის მთელი ჩვენი ინტელიგენცია.

საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა მიიჩნიეს ძველი მებატონე რუსეთის დაბრუნებათ ახალი მოურავის სახით.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემა კი მიჩნეული იქნა თვით საქართველოს სახელმწიფოებრივი ორგანიზმის დასამარებათ.

და როცა საბჭოთა ხელისუფლებამ და წითელ ჯარმა ბათუმის ზღვის პირს მიაღწია, ხოლო საფრანგეთის ესკადრა მოგვშორდა და თან ძველი მთავრობა ზღვის გადაღმა წაიყვანა, - ქართველი ინტელიგენციის უმრავლესობამ ამ ზღვას დაუკავშირა იდეა საქართველოს დემოკრატიულ დამოუკიდებელ რესპუბლიკის რესტავრაციისა ანტიბოლშევიკური ევროპის დახმარებით.

ამ ნაციონალური იდეისთვის და არა სოციალური წოდებრივი ან კლასობრივი მოტივებით იყო გატაცებული ქართველი ინტელიგენცია; ამისათვის სწარმოებდა მისი ბოიკოტი, საბოტაჟი და კონსპირაციაც.

მაგრამ ამ ოთხი წლის განმავლობაში თან და თან ცხადი ხდებოდა, რომ ანტიბოლშევიკური ფორმულა: „საქართველოს სოვეტიზაცია არის რუსიფიკაცია," - იყო ყალბი.

ცხადი ხდებოდა თან და თან, რომ ოკტომბრის რევოლიუცია იყო არა მარტო სოცალური გარდატეხა რუსეთის იმპერიისა, არამედ გარდატეხა ნაციონალურიც.

ფაქტი გახდა, რომ საბჭოთა კავშირის უდიდეს მონაწი- [illegible] გაისწორა თავი უკრაინა, ბელორუსია, კავკასიასთან.

ფაქტი გახდა, რომ კომ. პარტიის მეთორმეტე ყრილობამ ი. სტალინის (ჯუღაშვილის) მოხსენებით დაადგინა არა მარტო კულტურული, არამედ ეკონომიური ნაციონალიზაცია არარუსულ რესპუბლიკების და ამით მოსპო იდეა საბჭოთა რუსეთის ახალ კოლონიალურ პოლიტიკისა განაპირებში; მართლაც, რომელი იმპერიალისტური მეტროპოლია არის, რომ კოლონიის ინდუსტრიალურ გათანასწორებაზე ზრუნავდეს? საბჭოთა ხელისუფლება კი დიდ ინდუსტრიალიზაციას ახდენს განაპირა რესპუბლიკებში, კერძოდ ამიერ-კავკასია-საქართველოში და ამით მის რეალურ დამოუკიდებლობას სჭედს.

ამავე ყრილობამ დაადგინა საბჭოთა ფედერაციის უმაღლეს ორგანოს, ეროვნებათა საბჭოს დაარსება, სადაც საბჭოთა ერები თანასწორად შედიან და სადაც იმდენივე რუსის წარმომადგენელია, რამდენი ქართველიც (ასზე ხუთი).

ფაქტი გახდა აგრეთვე, რომ საბჭოთა კონსტიტუციამ უზრუნველყო მოკავშირე რესპუბლიკათა სუვერენიტეტი ფედერაციიდან გამოსვლის (სეცესიის) უფლების მინიჭებით და იმით რომ რესპუბლიკათა ტერიტორიების საზღვრების შეცვლა, თუ არა მათი თანხმობით, ცენტრს არ შეუძლია.

ამ ფაქტებით საბჭოთა ხელისუფლება საქართველოში მორალურად უკვე აჯანყებამდე იყო გამარჯვებული მის მოწინააღმდეგე პოლიტიკაზე.

მართლაც რა უნდა დაუპირდაპირებია ქართულ ანტიბოლშევიკურ ბლოკს საბჭოთა ფედერაციის პრინციპისა და პრაქტიკისათვის.

იდეა საქართველოს სრული დამოუკიდებლობისა? მაგრამ ეს იდეა დღეს გულწრფელად, გარდა ჯერ კიდევ ნაციონალიზმის ბავშური სახადით მოუხდელთა აღარავის არა სწამს, განსაკუთრებით ემიგრაციას, რომელმაც ევროპაში პირისპირ ნახა რაა პატარა ერთა დამოუკიდებლობა. როცა 30 მილიონიან პოლონეთს მისი ბედის გამომჭედ საფრანგეთის სამინისტროს ყოველ ცვლილებაზე აძაგძაგებს რუსეთსა და გერმანიას შორის მარტო დარჩენა,- 3 მილიონიანი საქართველო რას იზამდა მარტო?

ან შეიძლება დასაპირდაპირებელი იყო იდეა საქართველოს ნეიტრალიტეტისა ევროპის გარანტიით, მაგრამ, როგორც ამბობდა ჯერ კიდევ პირველი იდეოლოგი ქართული სახელმწიფოებრივობისა არჩილ ჯორჯაძე, საქართველო შვეიცარია არაა, არაა რადგან მას უკან არის მდიდარი აზია რომლის დასაპყრობად ბაზაა კავკასია; ბაზას ნეიტრალად კი არავინ გამოაცხადებს.

დარჩა იდეა ევროპის პროტექტორატისა. ესე იგი დამოუკიდებლობა მხოლოდ რუსეთისაგან და ამისათვის სამაგიეროდ დამოკიდებულება ევროპის კოლონიალურ სახელმწიფოებიდან.

მაგრამ ვისი ან როგორი პროტექტორატი?

ინგლის - საფრანგეთმა ომში ნაშოვნი ტერიტორიებიც დაცალეს (სპარსეთი, კილიკია) და ახალის პასუხისგება როგორ უნდა იკისრონ, და კიდეც რომ იკისრონ ეს ისეთივე დროებითი იქნებოდა, როგორც იყო ბაქო-ბათუმის ოკუპაცია 1918-1921 წელს.

მაგრამ გარეშე ამ პრაქტიკულ გარემოებისა, საკითხი დგება აგრეთვე პრინციპიალურადაც: უნდა პირდაპირ ვაღიაროთ, რომ შედარებით საბჭოთა რუსეთის ფედერატიულ კავშირთან, ევროპის რომელიმე პროტექტორატით საქართველო წააგებდა.

უინდუსტრიო პატარა ტერიტორიას ავსტრალია-კანადისთანა დომინიონად არავინ გახდიდა, ხოლო კოლონიათა როლი კარგად ვიცით აზია-აფრიკის ერთა ომის წინა და ომის შემდეგი ისტორიიდან

ამიტომ სრულიად გადაჭრით უნდა ვაღიაროთ საბჭოთა რუსეთის ორიენტაცია არა მარტ[illegible]ით. ტაქტიკურად რადგან ევროპამ ვერ გაბედა ჩვენში [illegible] აჯანყების დროს ინტერვენცია, არამედ პრინციპიალურად, სერიოზულად და დიდის ხნით.

ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ ქართველმა ბოლშევიკურმა პარტიამ ორიენტაციის საკითხში სწორად აუღო ალღო საქართველოს გეოპოლიტიკას და რომ ისტორიული აუცილებლობით არის ნაკარნახევი ის სიტყვა, რომელიც ს. ორჯონიკიძემ სთქვა აჯანყების დროს:

— „დღეს ჩვენი ერისათვის აშკარაა, რომ თუ მას არ ეყოლა მჭიდრო ერთგული მოკავშირე, მისი აღორძინება და წინმსვლელობა შეუძლებელია. ჩვენ გვინდა საზღვრების დაცვისათვის დახმარება. ჩვენთვის აუცილებლათ საჭიროა, ძმური ერთგული მოკავშირე —ვინ შეიძლება იყოს ასეთი?"

უნდა დავეთანხმოთ ს. ორჯონიკიძეს დასკვნას, რომ ასეთი მოკავშირე საქართველოსათვის არის არა ინგლისი ან საფრანგეთი არამედ საბჭოთა რუსეთი.

უნდა შევიგნოთ რომ საზოგადოთ რუსეთის, როგორც უძლიერესი მეზობლის, ორიენტაცია ყველაზედ უფრო რეალურია ქართველი ერისათვის სამხედრო თვალსაზრისით და ამავე დროს რუსეთისა და მოკავშირე რესპუბლიკათა ტერიტორიები უკეთესი ასპარეზია მრავალრიცხოვანი ქართული ინტელიგენციისათვის, ვიდრე ევროპა.

დღევანდელი საბჭოთა რუსეთი კი პოლიტიკურად ყველაზედ უკეთესი ნაციონალური სახეა რუსეთისა, რადგან საბჭოთა კონსტიტუცია გვათანასწორებს რუსეთთან, როგორც ფორმალურად, ისე ფაქტიურად.

ხოლო ინტერნაციონალური სახე საბჭოთა მოსკოვისა და მისი მმართველი კომუნისტური პარტიისა უკეთესი საერთაშორისო დაზღვევაა მცირერიცხოვან ქართველი ერის რესპუბლიკისა, ვიდრე ჟენევის „ერთა ლიგა", ან ამსტერდამის ინტერნაციონალი, რადგან იგი უკავშირებს საქართველოს საქმეს მსოფლიო პოლიტიკის ორი დიდი ფაქტორის - პროლეტარიატისა და კოლონიალურ ერთა სოციალურ და ნაციონალურ განთავისუფლების პერსპექტივებს და ამ ფაქტორთა აქტიურ ავანგარდში საპატიო პოსტზე გვაყენებს აზიის ჭიშკარში.

ქართველი ხალხის უმრავლესობამ, გლეხობამ, შარშან აგვისტოში დაამტკიცა, რომ იგი მისდევს ამ პოლიტიკას, ისე, როგორც დაამტკიცა მან ეს ოთხი წლის წინ საქართველოს გასაბჭოებისთვის ბრძოლის დროს.

ამ ჭკუით უნდა იაროს ჩვენმა ინტელიგენციამ და ჯვარი უნდა დაუსვას ნოე ჟორდანიას ფანტასტიურ ევროპიულ პოლიტიკას.

ოთხი წლის განმავლობაში ფაქტიურად, მამასადამე კანონიერად არსებული მუშათა და გლეხთა საქართველო უნდა „ვიცნოთ", როგორც ერთად ერთი რეალური საქართველო, და არა მარტო უნდა ვიცნოთ იგი პასიურად, არამედ აქტიურად - უნდა დავიცვათ იგი, თუ მას საიდანმე საფრთხე გაუჩნდა.

ოთხი წლის წინ მოხდა საქართველოს პოლიტიკური გასაბჭოება.

წრეულს, მეხუთე წელს, ხდება მორალური და ფსიქოლოგიური გასაბჭოება მთელი საქართველოსი.

გრიგოლ ვეშაპელი

ამიერკავკასიის ფედერატიული რესპუბლიკის რუქა
(ტრედ-იუნიონების დელეგაციის მოხსენებიდან)



უკანასკნელი ცნობები

* საქართველოში საბჭოთა არჩევნები დასრულდა. არჩეულთა შორის უპარტიონი 70 პროცენტამდეა.

საქართველოს საბჭოთა ყრილობის ხსნა 5 აპრილს იქნება.

* ს. გ. ფირუმოვი საბჭოთა ელჩის კრასინის მოადგილედ დაინიშნა პარიზში.

* თბილისიდან აბხაზეთში გადაფრენის დროს დაიღუპა ა. კავკასიის რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილე მიასნიკიანი, მასთან ერთად დაიღუპნენ ათარბეგოვი და მოგილევსკი.

ბერლინის ქართულმა საბჭოთა კოლონიამ დეპეშით თავისი სამძიმარი გამოუცხადა ა. კ. მთავრობას.

წარსულის გაკვეთილი

ამ ოთხი წლის წინად ბათომში თავი მოიყარა საქართველოს მთავრობის ყველა დაწესებულებამ. აქვე იყო დამფუძნებელი კრების წევრთა უმრავლესობა, ცენტრები პროფესიონალურ კავშირების, კოოპერაციის და სხვა. ყველასთვის ცხადი იყო, რომ ბრძოლა წაგებულია, მაგრამ არავინ იცოდა, რა გზას უნდა დადგომოდა მომავალისათვის. არ სჩანდა ხელმძღვანელი პიროვნება და ორგანიზაცია. ნაწილი მთავრობისა საზღვარ გარეთ მოემგზავრებოდა. რა უნდა ეკეთებინა მას? ის არავის აძლევდა ანგარიშს. არც დამფუძნებელ კრებას, არც მმართველ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. ვისაც ერის ბედი ებარა, ისე წამოვიდა, რომ მან პოლიტიკური ხაზი არ დასტოვა. ერთად ერთი ორგანიზაცია, რომელმაც დააფასა მდგომარეობა და გაითვალისწინა მომავალი ტაქტიკა, იყო პროფ. კავშირები. მარტის პირველ რიცხვებში (1921 წ.) ბათომში შეიკრიბა თავმოყრილი პროფესიონალური კავშირების წარმომადგენლები და შემდეგი შინაარსის დადგენილება ერთხმათ მიიღეს: „ბრძოლა წაგებულია. მომავალში ჩვენ ვყრით იარაღს. შეიარაღებულ აჯანყებას, ან უცხოეთის შეიარაღებულ ძალაზე დაყრდნობას - ინტერვენციას ჩვენ უარვყოფთ."

გერმანიაში ჩამოსვლისთანავე მე ეს დადგენილება დავბეჭდე „სოციალისტურ ვესტნიკის" მაისის ნომერში (1921) სადაც, სხვათა შორის, ვსწერდი: „იმედია საზღვარ-გარეთ წამოსული მთავრობა არ დაადგება ავანტიურის გზას." ჩემ მოკლე წერილს არ გამოუწვევია პასუხი. რუსეთის წრეებიდან მესმოდა, რომ ევროპაში წამოსული ძველი მთავრობის წევრები წინააღმდეგი არიან შეიარაღებული ინტერვენციის. რამდენათაა ეს მართალი, დღეს ყველამ იცის.

მე ამის შემდეგ აკადემიურ მუშაობას ჩავები. არ ვიცოდი რა კეთდებოდა აქ, ან საქართველოში. ემიგრანტთა, ცხოვრებაში თითქმის არ ვერეოდი. გადმოსახლებულები რომ ბერლინში ჩამოვიდეს, მათთან ხშირათ დავდიოდი. გავმართეთ რამოდენიმე საუბარი პროფესიონალურ მოძრაობის შესახებ. ერთად დავიარეთ რამოდენიმე მუზეუმები. საუბრიდან სჩანდა, რომ რაღაც უთანხმოებაა სოც. დემოკრატიულ პარტიაში. თვით გადმოსახლებულები ჯგუფებათ იყვნენ დაყოფილი.

1923 - 1924 წ. მომხდარმა ამბებმა (სხვათა შორის ჯერ თევზაიას, მერე ჩემი ძმის ს. დევდარიანის გამოსვლამ და ჟორდანიას პასუხმა) დამარწმუნა შემდეგში: პარიზში მყოფ ძველ მთავრობის წევრებს ორი პოლიტიკური პროგრამა ქონიათ ჯიბეში, ერთი ევროპისთვის, მეორე საქართველოსთვის. ევროპის პროგრამას უმალავდნენ საქართველოს, საქართველოსას კი ევროპას. ეს თვით საქართველოში ცოდნია თანამოაზრეთა ვიწრო ჯგუფს. ივლისში 1924 წ. გაუგზავნე ბერლინის ორგანიზაციას ცნობა პარტიიდან გამოსვლის შესახებ. სხვათა შორის ვამბობდი: „სამოქალაქო ომი განადგურებას უქადის ჩვენ პატარა ერს." თვენახევრის შემდეგ მოხდა ის, რისაც ჩვენ აქ გვეშინოდა.

ჩვენი ერის სისხლი ევროპაში კომუნიზმის საწინააღმდეგო მასალათ გამოიყენეს. საქართველოსთვის კი ხელს არავინ გაანძრევს. ეს ანბანური ჭეშმარიტება არა ერთხელ თქმულა. სჩანს პოლიტიკური ატმოსფერა ისეა მოწამლული, რომ სადი და უბრალო აზრი ბევრს არ ესმის. ზოგი თურმე ჩეკას ჩაუგონებია, აქ ვინც ამას ამბობს, მოსყიდულია. ვერავინ ვერ იტყვის, რომ რამეს ვღებულობ. კომუნისტი არ ვარ. არც ვფიქრობ გავხდე. ვაძლევ ჩემ თავს ნებას გავიმეორო: ევროპა და ამერიკა ხელს არ გაანძრევს საქართველოსთვის. ყველას გვახსოვს, როგორ მიუსია ინგლისმა ბერძნები სათათრეთს. მერე დამარცხებული საბერძნეთი გარიყული დარჩა. ინგლისი სათათრეთს მოურიგდა. რისთვის უნდა ელოდეს საქართველო ამაზედ მეტს?

ამბობენ საქართველოში ბევრი ბუნებრივი სიმდიდრეა. ეს მართალია. ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავება საშუალებას მისცემს საქართველოს საპატიო ადგილი დაიკავოს კულტურულ ერთა შორის. ამერიკას და ევროპას კი ამ სიმდიდრით ვერ გავაკვირვებთ. პირიქით, დამუშავებული საქონლის ბაზარის საპოვებლათ ენერგიული ეკონომიური ბრძოლა იქნება საჭირო.

ვისაც ფაქტიური და არა „იურიდიული" დამოუკიდებლობა სურს საქართველოსი, ის აქ ეკონომიურ-კულტურულ ასპარეზზე უნდა ემსახუროს სამშობლოს.

საბჭოთა მთავრობის ყოფნა არ ყოფნის საქმეში პარიზელების როლი უდრის ნულს. მათ აქ არავინ უწევს ანგარიშს.

ოთხი წელიწადი ვარ ევროპაში. ვადევნებ თვალს პოლიტიკურ ცხოვრებას. ვერ ვხედავ ძალას, რომელიც თავს იტკივებს საქართველოსთვის. არც არი ისეთი კომბინაცია მოსალოდნელი, რომ ეს ძალა გაჩნდეს. ამიტომ, როგორც ევროპაში მყოფი ვეუბნები საქართველოს მუშებს, გლეხებს და ინტელიგენციას—რაც გინდ უჭირდეს მათ, ევროპისაკენ ნუ იხედებიან.

ვთქვათ მოხდა ისეთი სასწაული და გამოჩნდა ისეთი ძალა, რომელიც შეებრძოლება კომუნისტებს საქართველოს „განთავისუფლებლათ". ის მძიმე უღელი, რომელსაც მოსულები დაადებენ საქართველოს, სრულებით მოსპობს ეროვნული განვითარების შესაძლებლობას. ყველა ობიექტიურათ მოაზროვნე პოლიტიკური წრეები უნდა მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ყოველივე კომუნისტების ალაგას მოსალოდნელი (და არა ავადმყოფი გონების მიერ მოგონილი) ძალა მოსპობს ჩვენი ეკონომიური და კულტურული განვითარების შესაძლებლობას.

ალ. დევდარიანი.

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

მორიგი საკითხები

II „საქართველო უმენშევიზმოთ“

პოლიტიკაში საჭიროა იცოდე: რა გინდა, რა გსურს, რა გაბრძოლებს. უამისოდ ყოველგვარი პოლიტიკა მკვდარია და განწირული. ტაქტიკა, გზა, საშუალება იცვლება ყოველ მოხვევაში. მაგრამ უმთავრესი მიზანი და მისწრაფების ხერხემალი ყოველთვის განათებული და ცხადყოფილი უნდა იყოს.

სხვა დასახელებით პოლიტიკას ვერ მოუწდებით.

და თუ ამ საზომით განვიხილავთ ქართულ პოლიტიკას რუსეთის დროიდან დღემდე, - დავინახავთ, რომ ჩვენში მეთვრამეტე საუკუნის შემდეგ არავითარი პოლიტიკა არ ყოფილა.

ვინ აკეთებდა მაინც ჩვენში პოლიტიკურ ცხოვრებას?

რუსეთის სოციალ დემ. მუშათა პარტიას არავითარი იდეური და ისტორიული კავშირი არ ქონია არამც თუ ჩვენი ერის წარსულთან, მის დღევანდელ კულტურასთანაც კი. ეს „ისტორია და კულტურა“ ამ პარტიისათვის გაუგებარი და შეუთვისებელი დარჩა სახელის გამოცვლის შემდეგაც.

პარტიას, რომელიც დასტოვა არჩილ ჯორჯაძემ, შემდეგ ქონდა პრეტენზიები ეროვნულ პოლიტიკის გაკეთების, მაგრამ ვერავითარი გარკვეული, რადიკალური ლოზუნგი მან ვერ წამოაყენა, მასისათვის ის გაუგებარი დარჩა და ძლიერ ადვილად დაკარგა მან ყოფნის რეზონი.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იყო პერსონათა შემთხვევითი შეჯგუფება, გაურკვეველი სოციალური ბაზისით და შემთხვევითივე ამოცანებით. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, შეიძლება, ამ პარტიას ყველაზე მეტი აზრი ქონდა საქართველოში არსებობის, მაგრამ სწორედ გასაბჭოების თვეებში განაცხადა ამ პარტიამ, რომ მისი იდეალები განხორციელებულია და მიღწეული. როგორი იყო ეს იდეალები, ეს თვით ამ პარტიის ლიკვიდაციის მომხდენმა ცენტრ. - კომიტეტმაც ვერ დაასაბუთა გარკვეულად თავის დეკლარაციაში.

ქართული ნაროდნიკობა იყო რუსული არხაიზმი და როგორც საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოძრაობა ის ჩვენში არასოდეს გამართლებული არ ყოფილა.

ასეთი იყო ის ჯგუფები, რომელთაც უნდოდათ ერის ხელიდან წაყვანა. ცხოვრებამ დაგვანახა, რომ ეს პოლიტიკური მიმართულებანი ფაქტიურად და ობიექტიურად მოკლებული იყვნენ იმას, რაც საჭიროა პოლიტიკისათვის - საფუძველს და მიზანს. განსაკუთრებით აშკარა გახდა ეს თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ.

საინტერესოა, რომ ეს მიზანი ქართულ პარტიებმა ვერ მონახეს ვერც ერთმანეთთან ბრძოლის დროს და ვერც საერთო (პარიტეტული) შეთანხმების ხანაში.

ვისაც წაუკითხავს ცნობილი დოკუმენტი ამ პოლიტიკურ პარტიების წარმომადგენელთა მიერ ხელმოწერილი აჯანყების დროს, საბოლოოდ უნდა დარწმუნდეს, რომ ამ ხალხმა ვერ მოახერხა პოლიტიკურად გამართლებული სიკვდილი. რა იყო მათი უკანასკნელი მოწამსი - გაურკვეველია დღესაც.

ამ ისტორიული აქტის დაწერის შემდეგ გადაჭრით უნდა ითქვას, რომ არც ერთს ზემონახსენებ პოლიტიკურ ჯგუფს აღარა აქვს უფლება ხელახლად პარტიულად ამუშავებისა და ყოველგვარი ცდა, მიმართული ამ ჯგუფების ხელახალი აღდგინებისაკენ - ძირშივე უნდა იქნეს ჩაკლული ჩვენი ხალხის მიერ. ეს უნდა ახსოვდეს ყველას - გაღმაც და გამოღმაც. საქართველო ვერ მოითმენს, რომ ხელახლა ამოტივტივდეს ძველი „პოლიტიკის“ ხალხი.

მიუხედავად ამისა უცხოეთში და ხშირად საქართველოშიც გაისმის სხვა სიტყვები და ძველი ფორმაციის ზოგიერთი პოლიტიკური პარტია კიდევ იმედოვნებს, ვაჭრობს და ლაპარაკობს ლეგალურ, პარტიულ მუშაობის შესახებ. ისტორიულად და ლოღიკურად ამას არავითარი გამართლება არა აქვს და თუ ასეთი ლაპარაკი მაინც გაისმის - ჩვენი აზრით ეს არ უნდა აიხსნებოდეს დღევანდელი ხელისუფლების სისუსტით.

ჩვენ არა ვართ კომუნისტური ან სხვა რომელიმე პარტიის ორგანო, მაგრამ სწორედ ამიტომ ვაყენებთ ამ საკითხს ასე კატეგორიულად და რადიკალურად: ერთი ისტორიული ეპოქა გათავდა, ამოიცალა და ხალხი, რომელიც ქმნიდა ამ ეპოქას, სულიერად გაქანდა. ამას უნდა შეურიგდეს ყველა და ეს უნდა შეიგნოს აქტიურმა საქართველომაც.

ეს ცხადყო ციხეში დაწერილმა „პარიტეტულმა“ დოკუმენტმა და ნურავინ გაიკვირვებს, თუ ჩვენ დღეს მოვითხოვთ მისი მეთაურების პარიტეტულადვე განაწილებას. გამონაკლისი აქ შეუძლებელია და მიუღებელი.

დღეს საკითხი ძველი პოლიტიკური პარტიების საქართველოში არსებობისა სრულიად გამორკვეულია და სავსებით მოხსნილი. განახლების პრეტენზიებზე აზრი ზედმეტია, რადგან წარსული გაკვეთილების ლოდი ასე ადვილად არ გადაბრუნდება.

ფიქრი არასოციალისტური და წვრილსოციალისტური საქართველოს პარტიულად გამოსვლაზე აღარ შეიძლება. ეს საქართველო გამდგარია ასეთ შეჯგუფებათა გარეშე. ეს ის საქართველოა, რომლის შესახებაც ჩვენი გაზეთი (№1) სწერდა: „მთელის პოლიტიკური შეგნებით ვღებულობთ საბჭოთა ფედერაციაში მყოფ საქართველოს რესპუბლიკას, როგორც უდავო ფორმას ქართველი ხალხის ეროვნულ მისწრაფებათა განხორციელებისათვის“ და „ვიქნებით დაკმაყოფილებული, თუ შევძლებთ საბჭოთა სისტემის დაცვას-არსებულის შენახვას და მძიმე შრომის განაწილებას საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად.“

გვაქვს საბუთი ვიფიქროთ, რომ ამ საქართველოს აზრი და მისწრაფება ჩვენ სისწორით და სინამდვილით გამოვხატეთ. უდავოა, რომ დღეს ამ გზას ადგია ჩვენი ხალხის დიდი უმრავლესობა და ძველი პოლიტიკური ჯგუფების იდეოლოგიურ და მორალურ სიკვდილის შემდეგ - ეს ფორმულა მისაღები უნდა იყოს ყველა პატიოსანი ქართველისათვის.

საერთო მასშტაბში ეს ასეც ხდება, მაგრამ მოულოდნელად ამ სიწყნარეში ხანდახან შეისმის რაღაც დისონანსი და ჩვენ ვხედავთ, რომ მენშევიზმი „პირებს აღდგენას და როგორც პარტია ბედავს ლაპარაკს რაღაც განსაკუთრებულ პრივილეგიებზე საქართველოში.

დღემდის ეს პარტია იბრძოდა თითქოს ერის გულისათვის. თუ საქართველოსა და მის ბედ-იღბალზე ლაპარაკი, - ბრძოლა წმინდა პარტიულ პრივილეგიებისათვის ერის ხარჯზე - სირცხვილია და ხალხის ღალატი. ეს უბრალო დასკვნაა, მაგრამ მენშევიკები საკითხს სწორედ ასე პარტიულად აყენებენ.

ჩვენ იძულებული ვართ განვაცხადოთ, რომ ქართველი ხალხი არაა მენშევიკების ხიზანი და მენშევიკებისთვის გაჩენილი. ჩვენ გვყოფს წარსულიც და მენშევიზმის განახლება, რა სახითაც არ უნდა იქნეს ის - მიუღებლად მიგვაჩნია. საყურადღებოდ მენშევიკურ ლიდერებისა აშკარად ვიტყვით, რომ ჩვენი სურვილია - საქართველო უმენშევიზმოთ.

ამაში დაგვეთანხმება ქართველი ერის 95 კი არა, ყველა 100 პროცენტი. და გასაკვირალი არაა, რომ ისეთი ძველი მენშევიკი, როგორც არის ძამანაშვილი, ამას ადასტურებს „კომუნისტის“ ერთ ერთ ნომერში.

მაგრამ ამაში გასაკვირალია ის, როცა ძამანაშვილი აცხადებს, რომ მას და „მუშათა კომისიას“ შეუძლიათ „გადმოიყვანონ საბჭოთა მხარეზე ქართველი ხალხის 95 პროცენტი“... ამის გაგება შეიძლება ორნაირად - ან ისე, რომ დღეს საბჭოთა წესწყობილების მომხრე არის მხოლოდ ქართველი ხალხის 5 პროცენტი, ან და ისე, რომ ამ ხალხის 95 პროცენტი ისევ მენშევიკებს მისდევს. მაგალითებზე წასვლა შორს არაა საჭირო ამ ფანტაზიის გასარკვევად.

ქართველი ხალხი თანდათან მიდის და მივა საბჭოთა ხელისუფლებასთან ასი-ასზე, მაგრამ ეს იქნება უმთავრესად ანტიმენშევიკური, ე. ი. წმინდა ქართველი პროცენტები და აქ არც ერთი კომისია არაფერ შუაშია.

ჩვენთვის და ქართველი ხალხისათვისაც საკითხი სდგას მარტივად და უბრალოდ. თუ მენშევიკებს ენანებათ თავისი მარქსისტული წარსული - საქმის გამოსწორება შეიძლება მხოლოდ მუშათა ჭეშმარიტ მოძრაობასთან დაკავშირებით, ესე იგი სრული გაწყვეტა და სინდისიერად მისვლა იმ პარტიასთან, რომელსაც აქვს გარკვეული მიზანიც, იდეალებიც, ბრძოლის უნარი და საშუალებაც და რომელსაც მხოლოდ პროლეტარიატის რიგებში მოეპოვება უდიდესი რეზონი და რეზონანსი.

თუ ძველი მენშევიკებისათვის შესაძლებელი იყო საქართველოში ერთი გაერთიანებული „სოციალისტური“ პარტიის არსებობა (რამოდენიმე იყო - სოციალისტური და არასოციალისტური პარტია) - რისთვის უნდა იყოს დღეს სადაო ერთი კომუნისტური, მარქსიზმზე დამყარებული პარტია..?

ესაა საუკეთესო გზა, რომელზედაც შეუძლია ოცნებობდეს ყოველმა მენშევიკმა, თუ მართალია მათი მარქსიზმთან სიახლოვე.

რაიცა შეეხება დანარჩენ საქართველოს, როგორც მასას და როგორც ერს - „საქართველო უმენშევიზმოთ“ - დარჩება ბოლომდის მის ლოზუნგად.

ეს კი ნიშნავს, რომ საქართველო მშვიდობიანად განვითარდება საბჭოთა ფედერაციაში და ჩვენი მშრომელი ხალხი ასი პროცენტით იქნება დაზღვეული ყოველგვარ ხიფათისაგან.

„საქართველო უმენშევიზმოთ“ - ეს მეტად ქართული თემაა და მას სჭირია [illegible].

ნიკოლოზ მიწიშვილი.

სტალინი—ჯუღაშვილი. რუსეთის კომპარტიის გენერალური სეკრეტარი.

აბელ ენუქიძე. საბჭოთა კავშირის ც. ა. კ.-ის სეკრეტარი.

ქრონიკა

პარიზის ქრონიკა

* პარიზში ჩამოვიდა ლევან ღოღობერიძე. მას როგორც საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილეს, დიპლომატიური ვიზა მისცა საფრანგეთის საელჩომ.

* გადმოგვცემენ, რომ მოკლე ხანში აღძრული იქნება საკითხი ქართული ლეგაციის დახურვისა პარიზში. ვინაიდან დეპუტატთა პალატაში საგარეო პოლიტიკაზე კამათმა გამოარკვია, რომ საფრანგეთის მთავრობა სცნობს საბჭოთა საქართველოს და ამიტომ ძველი ლეგაციის დახურვის წინააღმდეგ არ წავა, ჩხენკელის „მთავრობა“ აპირებს მოაწყოს ახალი არაოფიციალური ორგანიზაცია.

* პარიზში ჩამოვიდა ქაქუცა ჩოლოყაშვილი რომელიც ეხლა, როგორც ხმები დადის დიდ უკმაყოფილებას უცხადებს ყოფილ მთავრობას - „თუ შველა ჯარს არ გაძლევდათ რას გვატყუებდითო“. ჩოლოყაშვილთან ერთად ჩამოვიდა შალვა ამირეჯიბი.

* ქართული კოლონიის უკანასკნელ კრებაზე თენგიზ დადეშქელიანი ორჯერ „მეხოდ ხელით“ ყოფილ დამფ კრების წევრს მენშევიკ რუბენ ყიფიანს. მენშევიკებს ყოფილი მინისტრების გარდა პარიზში ჯარი არ გააჩნია და მათდამი ასეთი წესით პასუხის გაცემა პირველი შემთხვევა არაა. ამის გამო კოლონიის კრებები უკანასკნელ ხანებში იშვიათად ხდება, პრეზიდიუმშიც მხოლოდ ერთი მენშევიკია გასული - გრიშა ურატაძე - განი.

* ამჟამად პარიზში იმყოფება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი რაზმაძე, რომელიც დაბრუნდა კანადიდან და ამზადებს პარიზში დასაბეჭდად თავის მეცნიერულ ნაშრომს.

ნიკოლოზ მიწიშვილის საქმე

11 მარტს საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით საფრანგეთიდან გასახლებულ იქნა პოეტი ნიკოლოზ მიწიშვილი, რომელსაც ბრალი დასდეს, რომ ის მესამე ინტერნაციონალის დავალებით ეწეოდა საფრანგეთში კომუნისტურ პროპაგანდას. გამოსახლებამდე მიწიშვილი მოთავსებული იყო საპყრობილე „სანტე“-ს პოლიტიკურ განყოფილებაში. პოეტი მიწიშვილის გაძევების გამო, ამ ჟამად პარიზში მყოფმა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ღოღობერიძემ გადასცა კრასინს საპროტესტო ნოტა საფრანგეთის მთავრობის საყურადღებოდ.

ძინძიბაძის გამართლება.

თერთმეტ მარტს სენის დეპარტამენტის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ გაარჩია სტუდენტის ვასილ ძინძიბაძის საქმე, რომელმაც გასული წლის რვა ნოემბერს სამი ტყვიით დასჭრა ბერლინიდან პარიზში ჩამოსული ლადო ყანდარელი - თავმჯდომარე ამიერკავკასიის სტუდენტთა კავშირის.

პროცესზე მოწმეებათ გამოვიდნენ ფრანგი სოციალისტი დეპუტატები რენოდელი და მარკე. აგრეთვე ირაკლი წერეთელი. ბრალდებულს იცავდა სოციალისტი დეპუტატი პოლ-ბონკური. სასამართლომ ძინძიბაძე გაამართლა.

ეს პროცესი მეტად დამახასიათებელია: ძინძიბაძემ სასამართლოში განაცხადა, რომ მას უნდოდა პოლიტიკური შურისძიება და სასამართლომ ის გაამართლა. ამაში ქართველმა მენშევიკებმა და საფრანგეთის სოციალისტების ლიდერებმაც მიიღეს აქტიური მონაწილეობა და განაჩენს დასტური დასცეს.

ეს ტერორის აპოლოგია არის და იმ სამოქალაქო ომის მეთოდების გადმოტანაა ემიგრაციაში, რომელიც საქართველოში ჩაქრა.

ბერლინის კოლონიაში.

საბჭოთა საქართველოს მოქალაქეთა საზოგადოების გამგეობამ 8 მარტს შემდეგი წერილით მიმართა ბერლინის ძველ კოლონიის გამგეობას:

,,თქვენსა და ჩვენს შორის არსებობს ალბათ, პრინციპიალური უთანხმოება. ეს უთანხმოება შეეხება საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხს.

მოგმართავთ შემდეგი წინადადებით: გავმართოთ ხოლმე შეერთებული კრებები თქვენი და ჩვენი კოლონიისა ყველა სადაო საკითხების გამოსარკვევად.

იმედი გვაქვს, რომ ორივე მხარე გამოიჩენს იმდენ ობიექტობას, რომ კრებები წესიერად ჩატარდნენ. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი წინადადება თქვენთვის მისაღები იქნება, მაშინ ჩვენი და თქვენი გამგეობის წარმომადგენლები შეიმუშავებენ საერთო კრებების პროგრამას.“

რედაქციისაგან

ვენაში დაკვეთილი შრიფტის ზოგიერთი ასოები ცუდათ ჩამოსხმული გამოდგა. სანამ ამ ასოებს ხელ-ახლად გააკეთებდენ, ვსარგებლობთ მიღებული შრიფტით:

ეროვნებათა საბჭოს (საბჭოთა კავშირის მეორე პალატის) პრეზიდიუმი.

სოკოლნიკოვი (რუსეთი), მ. ელიავა (საქართველო), ჩერვიაკოვი (ბელორუსეთი), ნარიმანოვი (აზერბაიჯანიდან-გარდაიცვალა), სკრიპნიკი (უკრაინა) და მ. ცხაკაია (საქართველო).

ს. ორჯონიკიძე ანტისაბჭოთა პარტიების შესახებ

ბაქოს პარტიულ კონფერენციაზე მოხსენების დროს ს. ორჯონიკიძეს უთქვამს შემდეგი ანტისაბჭოთა პარტიების შესახებ:

„ანტისაბჭოთა პარტიებს შორის ჩვენ ვხედავთ შემდეგს: მენშევიზმი განადგურდა ფიზიკურათ და მორალურად, ისინი ეხლა ფიქრობენ გამოიცვალონ პლატფორმა, აცხადებენ რომ სდგებიან საბჭოთა ხელის უფლების ცნობის თვალსაზრისზე და სხვა, მაგრამ ყველაფერი ეს ხდება იმისათვის, რათა ერთხელ კიდევ მოატყუონ მუშათა და გლეხთა ერთი ნაწილი. ჩვენ მათ წინააღმდეგ ვაწარმოებთ დაუზოგავ, გამანადგურებელ ბრძოლას. მუშათა კლასს არ ყავს მენშევიკებზე უარესი მტერი.

რაც შეეხება დაშნაკელებს, ისინი ჩუმათ არიან, მაგრამ თქმა იმისა რომ ისინი არ არსებობენ არ შეიძლება.

მუსავატისტების შესახებ კი ჩვენ გვაქვს ცნობა, ისინი გაითიშენ. ერთნი მხარს უჭერენ იმას რათა ეხლავე დაადგენ აჯანყების გზას, სხვები ამჯობინებენ მოცდას.

ჩვენს ინტელიგენციას შორის შემჩნეულია ე. წ. „სმენავეხოვსტვო". იგი შემჩნეულია როგორც ქართველ, ისე სომეხ-ინტელიგენციის შორის. ეს შემთხვევითი მოვლენა არაა. სმენავეხოვსტვო" შემჩნეული იყო ფართოდ სამი წლის წინად რუსეთში; ბევრი ძველი მინისტრები, კოლჩაკის მიმდევრები, საბჭოთა ხელისუფლების ყოფილი მტრები ჩვენს მხარეზე გადმოვიდნენ. იმავე მოვლენას ადგილი აქვს ჩვენშიც. საქართველოში მენშევიკების დამარცხების შემდეგ აგვისტოში, ინტელიგენციას არ შეეძლო არ ჩაფიქრებოდა საკითხს - რა უნდა ქნას მან? ნაწილი ჩვენს მხარეზე გადმოვიდა, საფრანგეთში გამოვიდა გაზეთი „ახალი საქართველო" ნაციონალდემოკრატულ პარტიის დამაარსებელის ვეშაპელის რედაქტორობით. ჩვენი პასუხია—კეთილი იყოს თქვენი მოსვლა".

გასაბჭოების წლისთავი ბერლინში

11 მარტს საღამოს Logenhaus-ში ბერლინის ქართულმა კოლონიამ სტუმართა თანადასწრებით იდღესასწაულა საქართველოს გასაბჭოების ოთხი წლის თავი.

კრება გახსნა კოლონიის გამგეობის თავმჯდომარემ მ. შანიძემ.

შემდეგ საბჭოთა კავშირის მთავრობის სახელით ქართულ კოლონიას მიესალმა საბჭოთა ელჩი ბერლინში ნ. ნ. კრესტინსკი.

ამის შემდეგ გააკეთეს მოხსენებები გ. ვეშაპელმა და ა. დევდარიანმა.

ამიერკავკასიის რესპუბლიკის წარმომადგენელმა ს. ფირუმოვმა. მოახსენა კრებას თავისი პირადი შთაბეჭდილებანი საბჭოთა საქართველოს აღმშენებლობის შესახებ, შეკრებილნი უკანასკნელი მოგზაურობის დროს.

მ. წულეისკირმა სთქვა სიტყვა სტუდენტთა კავშირის სახელით,

დასასრულ კრებას მიესალმენ სტუმრები: მ. ზორიანი (სომეხთა სახელით), მ. მუხტაფაევი (აძერბეიჯანელთა სახელით).

ილაპარაკეს აგრეთვე უზბეკისტანელ და სერბიელმა ამხანაგემა.

საღამოს მეორე ნახევარი შესდგებოდა კონცერტული განყოფილებიდან, რომელშიაც მონაწილეობდენ ქ. ნიჟარაძისა და ლ. ქუთათელაძე. ხორომ და ორკესტრმა შეასრულა ქართული მელოდიები. ლოტბარობდენ მ. შანიძე და ა. მეტრეველი.

კონცერტის შემდეგ ნაჩვენები იქმნა ქართული კინემატოგრაფი-ფილმი „მამის მკვლელი".

საღამოზე დამსწრეთა შორის იყვნენ: ა. სვანიძე, ა. ბეკზადიანი, მ. ავაკოვი, გ. გოგიტიძე.

საკავშირო ცაკის სესია თბილისში

მარტის დასაწყისში თბილისში მოხდა საბჭოთა ფედერატიული რესპუბლიკების მთელი კავშირის აღმასრულებელი კომიტეტის სესია.

სამ მარტს შესდგა თბილისის ქალაქის საბჭოს სადღესასწაულო სხდომა მ. ცხაკაიას თავმჯდომარეობით.

ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციათა სახელით ილაპარაკა სერგო ორჯონიკიძემ, რომელმაც თავის სიტყვაში სთქვა - კავშირის უმაღლესი ორგანო ჩვენის თხოვნით იკრიბება თბილისშიო.

საკავშირო ცაკის თავმჯდომარემ კალინინმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ მთავრობას უნდა ემხრობოდეს 90 პროცენტი ხალხისა და რომ ეხლა ჯერი ინტელიგენციის თაოსნობაზეა.

ამ კრებაზე სხვათა შორის მისასალმებელი სიტყვები სთქვეს უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. ივ. ჯავახიშვილმა, საქართველოს მწერალთა სახელით კ. მაყაშვილმა, აგრეთვე ქართველ ქალთა საზოგადოების წარმომადგენელებმა.

საკავშირო სესიას ცალკე დეპეშით მიესალმა საქართველოს კათალიკოსის მოადგილე მიტროპოლიტი ქრისტეფორე. ხოლო თვით სესიის დროს მას მიესალმა დელეგატები მასწავლებელთა, ინჟინერთა, ექიმთა და სტუდენტთა. უკანასკნელთ გამართეს მიტინგი.

თვით სესია გახსნა ოთხ მარტს სახელმწიფო თეატრში კავშირის ცაკის თავმჯდომარემ კალინინმა.

ცენტრ.-აღმასრულებელ კომიტეტის შემადგენელმა ორივე პალატამ (საკავშირო და ეროვნებათ საბჭომ) ერთად მოისმინეს საკავშირო მთავრობის თავმჯდომარის ა. რიკოვის მოხსენება

ა. რიკოვმა განაცხადა სხვათა შორის, რომ თუ საფრანგეთის ცნობის შინაარსში რაიმე ბუნდოვანება არის ეს უნდა შეეხებოდეს არა საბჭოთა საქართველოს, არამედ ბესარაბიის საკითხს და რომ „დამოუკიდებელი საქართველო შედის ს. ს. ს. რ. -ში ნებაყოფლობითი კავშირის სახით".

ა. რიკოვმა აგრეთვე განაცხადა, რომ ამ ჟამად ბაზა მმართველი პარტიისა უნდა გაფართოვებულ იქნას უპარტიოთა თანამშრომლობით. შემდეგ მოსმენილ იქნა საკავშირო საგარეო საქმეთა კომისარი გ. ჩიჩერინი. თავის მოხსენებაში შესახებ საერთაშორისო მდგომარეობისა გ. ჩიჩერინმა საქართველოს საკითხსაც შეეხო. მან სთქვა, რომ ინგლისმა უკვე ბათუმის დაცლის დროს აღიარა საბჭოთა რუსეთის გავლენის სფეროთ მთელი ამიერკავკასია, მაგრამ საფრანგეთი თავიდანვე, ჯერ კიდევ უორდანიას დროს ინტრიგანობდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ და რომ საფრანგეთის დესანტისა და ოკუპაციისაგან საბჭოების თავისდასაცავად იყო ს. ორჯონიკიძეს წითელი ჯარით შესვლა თბილისშიო

გ. ჩიჩერინმა განაცხადა აგრეთვე, რომ დე-მონზის წერილობითი განმარტებით საფრანგეთის ცნობის შინაარსი ეხება საბჭოთა საქართველოსაც.

6 მარტს მუშათა მიტინგზე გ. ჩიჩერინმა ამავე საკითხზე შემდეგი ცნობა გააკეთა: „ბრძოლა საქართველოსათვის ჯერ კიდევ არ გათავებულა. ნავთის კაპიტალისტები, რომელთაც შეისყიდეს ბაქოს მესაკუთრეთა აკციები. განაგრძობენ ინტრიგებს საბჭოთა საქართველოს წინააღმდეგ, რადგან იგი გზა არის ბაქოს ნავთისაკენო". სხვათაშორის მიტინგზე ჩიჩერინს ჩოხა ეცვა.

საკავშირო მთავრობის მოხსენების შემდეგ კამათში მონაწილეობა მიიღო ამიერკავკასიის საგეგმო კომისიის (გოსპლანის) თავმჯდომარემ ფილიპე მახარაძემ, რომელმაც აღნიშნა რომ საბჭოთა კავშირის ამოცანა არის ეროვნული საკითხის სათანადო მოგვარება.

შემდეგ მოსმენილ იქმნა ამიერკავკასიის ფედერატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მამია ორახელაშვილი. მან კრებას მოახსენა, რომ აგვისტოს აჯანყების მომწყობი ძალა უნდა იყოს იგივე, რომელიც ეხლა ამოძრავებს კურდისტანის აჯანყებას ოსმალეთშიო. რომ აჯანყების დროს დაიღუპა 150 კომუნისტი და რომ მენშევიკთა პარტიის ნატეხები ალბად განაგრძობენ არსებობას იატაკის ქვეშ როგორც ტერორისტული ორგანიზაცია.

თავისი მოხსენების ეკონომიურ ნაწილში მ. ორახელაშვილმა განაცხადა, რომ კახეთის მეღვინეობა რუსეთში 30 გრადუსის ალკოჰოლის სასმელის ნებართვის შემდეგ კრიზისს განიცდის და რომ აუცილებელია აქციზის მოხსნა გლეხურ ღვინოზეო.

მ. ორახელაშვილის მოხსენების შესახებ მ. კალინინმა განაცხადა, რომ იგი ისურვებდა მოხსენებას მეტი გლეხური „სუნი უდიოდეს". მისი აზრით საჭიროა სიფრთხილე სარწმუნოებასთან ბრძოლაში, ვინაიდან ეკლესიამ დიდი როლი ითამაშა ადგილობრივ ერების დამოუკიდებლობის ისტორიაში; მ. კალინინი შეეხო აგრეთვე მრავალრიცხოვან ქართული უმუშევარი ინტელიგენციის საკითხს და იმ აზრს დაადგა რომ მარტო საქართველო ვერ მოაწყობს ამდენ ინტელიგენციას და საჭიროა მისი გადაყენება ამიერკავკასიის სხვა რესპუბლიკების და თვით რუსეთის ფარგლებში. დასასრულ მან წინადადება შეიტანა, ვინაიდან ამიერკავკასიის ინტელიგენციის იდეოლოგია თანდათან საბჭოვდება—საჭიროა გაფართოვება წინად გამოცხადებულ ამნისტიისა.

მ. ორახელაშვილი დაეთანხმა მ. კალინინის წინადადებას, რის შემდეგაც სესსიამ ერთხმად დაადგინა ახალი ამნისტიის გამოცხადება პოლიტიკური და სხვა დანაშაულთათვის.

ამ დადგენილების ძალით იმავე დღეს განთავისუფლებულ იქმნენ ციხიდან კათოლიკოსი ამბროსი და საკათალიკოსო საბჭოს წევრნი და აგრეთვე მრავალი სხვა პოლიტ. ტუსაღები თბილისში და პროვინციაში. განთავისუფლებულ არიან აგრეთვე გადასახადისათვის ადმინისტრატიულად დატუსაღებულნი გლეხები.

ამიერკავკასიის მთავრობის მოხსენების გამო სესსიამ დაადგინა აგრეთვე ნედლეულობის ადგილობრივ დამუშავება ადგილობრივ ქარხნების გახსნით (მათ შორის ხის, მატყლის, აბრეშუმის, ნავთის—ბათუმში). შავი ზღვის პორტების, კერძოდ ბათუმის პორტის გაცოცხლება; ბაქო-ბათუმის ახალი ნავთსადენის გაყვანა; შავიზღვის რკინის გზის დასრულება; ღვინის აქციზის მინიმუმზე დაყვანა.

სესსიამ გადასდო ორი მილიონი მანეთი ზამთარში დაზარალებულ სოფლის მეურნეობის დასახმარებლად.

სესსიამ დაადგინა აგრეთვე, რომ საჭიროა მუშათა და გლეხთა ფართო წრეების ჩაბმა საბჭოთა საზოგადოებრივობის სარბიელზე.

სესსიის დასასრულ მოსმენილ იქნა მოხსენება საკავშირო ბიუჯეტის შესახებ.

არჩილ ჯორჯაძე ორიენტაციის შესახებ

მოგვყავს როგორც ისტორიული საბუთი არჩილ ჯორჯაძის პარიზის ჟურნალ „საქართველოს" (№2) მეთაური დაბეჭდილი რუსეთის პირველ რევოლუციის წინ (1905)

„თავდაპირველად ჩვენ აღვიარებთ, - სეპარატისტები არა ვართ, ე.ი. ვფიქრობთ, - საქართველოს სრული განშორება რუსეთისაგან, პოლიტიკური განკერძოება არც შესაძლებელი და არც სასურველია.

კავკასიის სხვა-და-სხვა ერთა ცხოვრება ეკონომიურად იძე გადაება ერთმანეთს და ისეთი გრძნობიერი გახდა ერთა ეროვნული თავმოყვარეობა, რომ მოქიშპე ერთა შორის ერთის განცალკევებულის სა სახელწიფოს დაარსება დღევანდელ პირობებში ძნელი პოლიტიკური პრობლემა არის.

კავკასიის სრული დამოუკიდებლობა, ან კიდევ კავკასიაში ერთ განკერძოებულ სახელწიფოს დაარსება ერთ შემთხვევაშია შესაძლებელი: თუ რუსეთი ხელს აიღებს კავკასიაზედ და ევროპის სახელმწიფონი კავკასიას ხელუხლებელ, ნეიტრალ ტერიტორიად აღიარებდნენ. არის ეს შესაძლებელი? ჩვენ გვგონია არა. რუსეთი კავკასიას თავის ნებით ხელიდან არ გაუშვებს, რაც გინდა თავისუფალი წესწყობილება იყოს რუსეთში, უნდა გვახსოვდეს, რუსეთი სტიქიურად აზიისაკენ იწევა. კავკასია რუსეთის სელლობისათვის აუცილებელი სადგურია, ბაზისია. რუსეთი აქეთ სხვა-და-სხვა ინტერესების ძალდატანებით ისწრაფის. უმთავრესი მოსაზრება ეკონომიური ინტერესია. უმთავრესი ძალა თანამედროვე ცხოვრების კაპიტალიზმია და პირველი მიზეზი სახელწიფო გაფართოვებისა სავაჭრო ახალ ბაზრის მოპოვებაა. რეჟიმიც რომ შეიცვალოს რუსეთში, პოლიტიკურ თვით-მპყრობელობის დამხობის შემდეგ, რუსეთის გაძლიერებული და განვითარებული კაპიტალიზმი საკოლონიზაციო პოლიტიკის გაგრძელებას მაინც მოითხოვს, შორს რომ არ წავიდეთ, ამის მაგალითს კონსტიტუციური გერმანია გვიჩვენებს.

რაც შეეხება ევროპისაგან ხელუხლებელ ტერიტორიად გამოცხადებას კავკასიისას, მართალი მოგახსენოთ, ჩვენ არ ვხედავთ არც ერთ პრაქტიკულ მოსაზრებას ამ აზრის განხორციელებისათვის, შვეიცარიის მაგალითი მოსაყვანი არ არის, რადგან შვეიცარიის იქით ის არ არის, რაც კავკასიის იქით არის, ე. ი. მდიდარი აზია, რომლის დაპყრობა ევროპიელ სახელმწიფოთ დიდი ხანი აქვსთ გადაწყვეტილი, აზიის დასაპყრობლად კავკასია ყოველთვის საოპერაციო ბაზისად იქმნება. ამ ბაზისის ნეიტრალ ქვეყნად გამოცხადება—აზიაზე ხელის აღებას ედრება. ჩვენ მართალია იდეალისტები ვართ, გარნა ჩვენი იდეალიზმი არც ისე შორს მიდის, რომ ამგვარ არაკს დავუჯეროთ.

ჩვენ აზრათ არა გვაქვს ოცნებათა სამეფოში ვიფრინოთ. გარემოებას თვალი თვალში უნდა გავუყაროთ და ამის მიხედვით ჩვენი პროგრამიდამ პოლიტიკური სეპარატიზმი, საქართველოს რუსეთისაგან სრული განშორების აზრი, უნდა წავშალოთ. ავანტიურისტულ მოსაზრებას თავი უნდა დავანებოთ, ეს ქვეყანა რუსეთის პოლიტიკურ ორგანიზაციაში დარჩება. ამ აზრს უნდა შევურიგდეთ. საქმე ის არის, რომ ამ პოლიტიკურ ორგანიზაციაში იმგვარი პირობები შევქმნათ, რომ, ერთის მხრივ, რუსეთთან ერთობა არ შევწყვიტოთ, მეორეს მხრივ, ჩვენი ეროვნება თავისუფლად განვავითაროთ".

პარიტეტულ კომიტეტის ეროვნულ დემოკრატიულ წევრთა თეზისები

1 დღიდან თავის არსებობისა საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტია მიზნათ ისახავდა საქართველოსთვის ისეთი პირობების შექმნას, რომელნიც უზრუნველ ყოფდა ქართველი ერის კულტურულ ეკონომიურ განვითარებასა და გაძლიერებას.

ფორმა, რომელშიაც უნდა ჩამოყალიბებულიყო საქართველოს პოლიტიკური და კულტურულ-ეკონომიური განვითარება, პარტიის შეხედულებით დამოკიდებული იყო საქართველოს სამინაო და საგარეო პირობების მეფარდებაზე.

მეფის რუსეთის პირობებში პარტია მოითხოვდა საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიას. მსოფლიო ომმა, რუსეთის თებერვლის რევოლუციამ თავის პრინციპით ერთა თვით გამორკვევისა და, განსაკუთრებით, ოკტომბრის რევოლუციამ, რომელმაც წამოაყენა დიდი ლოზუნგი დაჩაგრულ ერთა უფლება სრულ გამოყოფამდე, დაუსახა წინ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას საქართველოს სრული დამოუკიდებლობის პერსპეკტივა, რაც ფაქტათ იქნა 1918 წლის 26 მაისს.

ჩვენი პარტია 1918 - 1921 წლებში ეწეოდა რა ოპოზიციას მთავრობის წინააღმდეგ, რომლის სათავეში იდგნენ მენშევიკები, ენერგიულად მუშაობდა საქართველოს დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად.

2 საქართველოში ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარების ფაქტში ეროვნულ - დემოკრატიულმა პარტიამ დაინახა საშიშროება ეროვნულ განვითარებისათვის, რამაც გამოიწვია წინააღმდეგობა და ბრძოლა საბჭოთა მთავრობასთან.

3 ამ მიზნით ეროვნულ - დემოკრატიული პარტია შეუკავშირდა სხვა პარტიებს და მათთან ერთად შექმნა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი", რომელსაც დაევალა საქართველოს ბრძოლის სათანადო ხელმძღვანელობა.

4 პირველად როგორც „დამოუკიდებლობის კომიტეტის ისევე ეროვნულ - დემოკრატების პარტიულ მუშაობას ქონდა მშვიდობიანი ხასიათი და ბრძოლა უნდა გამოხატულიყო მოწოდებების გამოცემასა და მშვიდობიან დემონსტრაციების მოწყობაში, ვინაიდან იყო იმედი, რომ საქართველოს საკითხის გადაჭრა შეიძლებოდა დაჩქარებულიყო საბჭოთა ხელისუფლების საშინაო ან საგარეო გართულების შექმნით, გარეშე ქართველი ერის აქტიური მონაწილეობისა.

მაგრამ როცა თანდათანობით გამოირკვა, რომ მშვიდობიანი გზით მიზნის მიღწევა შეუძლებელი განდა, ანტისაბჭოთა პარტიები „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" სახით იძულებულნი შეიქმნენ დაეწყოთ ხალხის მზადება აჯანყებისათვის, რადგან იყვნენ დარწმუნებულნი რომ ეს გზა გამოხატავდა ხალხის სულისკვეთებას. ამასთან ერთად იმედიც ქონდათ, რომ ევროპის სახელმწიფოები ერთგვარად გამოექომაგებოდენ ქართველ ერს ამ ბრძოლაში. ამ ნიადაგზე მოეწყო მიმდინარე წლის აგვისტოში აჯანყება, რომლის სალიკვიდაციოთ, სისხლის შესაწყვეტად და ქართველი ერის საბჭოთა ხელისუფლებასთან შესარიგებლად „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა" 5 სექტემბერს გამოსცა თავისი ცნობილი განცხადება.

5 ვიზიარებთ და ვემყარებით რა ამ განცხადების შინაარსს, ამიერიდან ბრძოლას არსებულ ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყების ან სხვა არალეგალური საშუალებით დამღუპველადა ვსთვლით ქართველი ერის ინტერესებისათვის რადგან ამგვარი ბრძოლა ისედაც მცირერიცხოვან ქართველ ერს უქადის სრულს განადგურებას.

6 უკანასკნელი გამოსვლის დროს არ აღმოჩნდა არც ერთი უცხო ძალა, რომელიც რეალურად დაგვხმარებოდა.

ანტანტის სახელმწიფონი, რომელნიც ზრუნავენ მხოლოდ თავიანთ ინტერესებზე არაფრით არ მოგვეშველენ, და ამგვარად ჩვენი იმედები ევროპაზე სრულებით არ გამართლდა,

7 მეორეს მხრივ, ნათელია, რომ საბჭოთა რუსეთის დამოკიდებულება საქართველოსადმი არ წააგავს მემარჯვენე რუსეთისას მაშინ როდესაც უკანასკნელი არ იმეტებდა ჩვენთვის ერობასაც კი ამ ჟამად საქართველოს, რომელიც შედის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში, უზრუნველყოფილი აქვს პირობები ფართე კულტურულ-ეკონომიური განვითარებისათვის, რასაც უფრო ხელს უწყობს, ამ ბოლო დროს საბჭოთა კავშირის წონისა და გავლენის უტყუარი ზრდა (საფრანგეთის მიერ კავშირის იურიდიული ცნობა და სხვა) და შინაგანი სახელმწიფოებრივი სიმტკიცე.

8 უკანასკნელი ამბების შემდეგ ჩვენთვის ნათელი განდა რომ საბჭოთა ხელისუფლება გულწრფელად სცდილობს მოსპოს ყოველგვარი გაუგებრობანი და ანგარიში გაუწიოს ხალხის სამართლიან მოთხოვნილებებს და საჭიროებებს.

გარდა ამისა, მმართველმა პარტიამ მოუწოდა თანამშრომლობისაკენ საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც აქამდე განზე იყო და შეურიგებელ გზას ადგა.

9 ამის შემდეგ არამც თუ ბრძოლის გაგრძელება, არამედ პასივობა და მაყურებლის როლში დარჩენა ქართველ საზოგადოების მხრივ იქნებოდა მეტად საზარალო ჩვენი ერისათვის. ამიტომ ვდგებით რა საბჭოთა სისტემის პლატფორმაზე მოუწოდებთ ჩვენი პარტიის წევრებს შესწყვიტონ ყოველგვარი მუშაობა, მიმართული ხელისუფლების წინააღმდეგ. დაიწყონ თანამშრომლობა საქართველოს საბჭოთა მთავრობასთან და მიიღონ მხურვალე მონაწილეობა სამშობლოს აღმშენებლობის საქმეებში.

1 იასონ ჯავახიშვილი
2 მიხეილ იმნაძე
3 შალვა კალანდარიშვილი

სეით დევდარიანი ინტერვენციის შესახებ

თავის წიგნში „პასუხი ნოე ჟორდანიას" ს. დევდარიანი ინტერვენციის საკითხზე შემდეგსა სწერს :

„ჩვენ უნდა გვქონდეს ის ნათელი წარმოდგენა, რომ საქართველოს გულისთვის ინტერვენცია დახმარება არ მოხდება და არც არის სასურველი. მაგრამ, ვსთქვათ, ის, საქართველოს საკითხზე დამოუკიდებლად, მოხდა რუსეთში. თუ მოხდება, რასაკვირველია, იმ მიზნით, რომ, საბჭოთა წესწყობილების მაგივრად დამყარდეს სხვა რომელიმე. როგორი იქნება ამ შემთხვევაში ტაკტიკა ნ. ჟორდანიასი ? „ჩვენ ამით ვისარგებლებთო" ამბობს ის („ჩვენი პასუხი"). ნ. ჟორდანიამ იცის, რომ ამას წინეთ მილიუკოვის გაზეთი „პოსლედნიე ნოვოსტი" ურჩევდა ქართველ „მეგობრებს", ერთად მოვიცილოთ ბოლშევიკები და მერე ჩვენ შევქმნით ერების თავისუფალ კავშირსო. უნდა თუ არა ნ. ჟორდანიას მილიუკოვის შექმნილი „თავისუფალი კავშირი" რუსეთის და საკართველოსი? მე ეს არ მინდა. ეს რომ უნდოდეს გაბოროტებულ, გაჭივრებულ მოსახლეობას, შენ, ხელმძღვანელმა არ უნდა ურჩიო. კითხვა არ დგას რა გზით ამოიყარო ჯავრი ბოლშევიკებზე, კითხვა დგას, რა გზით განამტკიცებ საკართველოს დამოუკიდებლობას. დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად საკართველო უნდა შეებრძოლოს მარკოვ-მილიუკოვის ფრონტს ბოლშევიკებთან ერთად, თუ ამ ფრონტმა მოინდომა ინტერვენცია რუსეთში და თუ ეს ბრძოლა გათავდა ბოლშევიკების დამარცხებით, რა თქმა უნდა საკართველო თან არ გადაყვება მათ, საკართველომ უნდა „ისარგებლოს" და გამოეყოს, გამოეცილოს მარკოვ-მილიუკოვის რუსეთს.

მამასადამე, არის ორი გზა ინტერვენციის საკითხში. ან შენ გინდა რომ ეს ინტერვენცია მოხდეს და უნდა მუშაობდე იმის სასარგებლოდ, არ დაეძებდე, ვინც უნდა გამეფდეს რუსეთში, ოღონდ კი ჩამოვარდეს, რაც არის; უნდა იმედოვნებდე, რომ საქართველოს მერე ხმას აღარ გასცემს გადატრიალებული რუსეთი: და ამ იმედებზე ამყარებდე საქართველოს დამოუკიდებლობას. ან შენ არ გინდა, რომ ეს ინტერვენცია მოხდეს, უფრო მემარჯვენე ძალა გამეფდეს რადგან მონარხისტ-კადეტ-ესერების ფრონტს ისიც ვერ მოუნელებია, რომ საკართველოს დღეს ქართული მთავრობა ყავს, უნდა ებრძოდე ამისთანა „განმანთავისუფლებლებს" და თუ ეს ბრძოლა წააგე ბოლშევიკებთან ერთად, მაშინ უნდა ისარგებლო მომხთარი ინტერვენციით ისე, რომ სახელმწიფოებრივათ გაემიჯნო რუსეთს, უნდა უცადო ამას, გამოვა რამე თუ არა ამ ცდისაგან".

ქართულ ეკლესიაში

ინფორმაციისათვის მოგვყავს შემდეგი ცნობა :

„თბილისის რელიგიურ საზოგადოებათა წარმომადგენლების საოლქო კრების დადგენილება 1925 წ. იანვრის ორს

კრების თავმჯდომარეთ იყო თედო სახოკია

კრებას დაესწრენ : დეკანოზი ი. მირიანაშვილი (საკათოლიკოსო საბჭოს წევრი), დეკანოზი ანტ. თოთიბაძე, დეკანოზი გურგენიძე, დეკანოზი გარსიაშვილი, მღ. ელისაბედაშვილი, მღ. ფარესიშვილი, დეკანოზი ნათიძე, დეკანოზი ფხალაძე, ივ. რატიშვილი (საკათოლიკოსო საბჭოს წევრი) დეკანოზი მაჭარაშვილი (მთავარი ხუცესი), დეკანოზი ასათიანი, თედო სახოკია, ნინო ჯაიანისა, მთ. კიღურაძე. ანნა გაწერელია, ნ. ურილიძე, თებრონ ხორავა და მრავალი სხვანი თბილისის ოლქის საეკლესიო საბჭოთა წარმომადგენელნი.

ზემო-ავჭალის ელსადგურის მდებარეობა.

დაადგინეს : ეპ. ქრისტეფორემ თვითნებობობით მიითვისა მოსაყდრის სახელწოდება.

ეპ. ქრისტეფორემ უკანონოდ კოოპტაციით მოწვეული წევრთაგან შეადგინა საკათალიკოსო საბჭო.

ეპ. ქრისტეფორეს მიერ უკანონოდ მოწვეულმა საკათალიკოსო საბჭოს წევრებმა წინააღმდეგ საეკლესიო კრების დადგენილებისა მისცეს ეპ. ქრისტეფორეს მიტროპოლიტობა.

ყველა ამის გამო უნდობლობა გამოეცხადოს მპ. ქრისტეფორეს. ეთხოვოს საკათალიკოსო საბჭოს დაუყონებლივ დაითხოვონ კოოპტაციით მოწვეულნი პირნი საბჭოდან და კანონიერი წევრებით შეავსონ საბჭო.

პირველ შეძლებისათანავე მოწვეულ იქნას საეკლესიო კრება.

ხელს აწერენ ცხრამეტი დეკანოზი და სამრევლო საბჭოების წარმომადგენლები."

ქართული კულტურის სახლი მოსკოვში

მოსკოვში არსებული ქართული კულტურის სახლი, რომელსაც შ. დადიანი ხელმძღვანელობს, დღითი-დღე უკეთ ეწყობა, აფართოებს თავის სამოქმედო ასპარეზს საბჭოთა მთავრობის დახმარებით და ხელის შეწყობით.

ქართული სტუდიის გარდა, აქვე ეწყობა ეხლა კინო-სტუდია. ამ კინო-სტუდიაში საქართველოდან გაიგზავნება 10 სტუდიელი.

საქართველოს განათლების სახალხო კომისრის თაოსნობით, განზრახულია მოეწყოს მთელი წყება ლექციებისა და მოხსენებათა, თბილისიდან დროგამოშვებით მივლინებულ პროფესორთა და ლექტორთა მიერ, მოსკოვის ფართე საზოგადოების გასაცნობად და დასაახლოვებლად ქართულ კულტურასთან.

განზრახულია აგრეთვე მოეწყოს ქართული მუსიკის დემონსტრაცია სპეციალისტების ხელმძღვანელობით.

მალე მოეწყობა კართული მხატვრობის გამოფენა.

კართული კულტურის სახლის თაოსნობით მზადდება დასადგმელათ ოპერა „აბესალომ და ეთერი".

დიდი და გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს დრამატიულ სტუდიაში. განსვენებულ რეჟისორ ვახტანგ მჭედლიშვილის პრინციპებისა და სისტემით ამზადებენ პიესებს.

წერილი ლონდონიდან

(რედაქციისადმი)

მიიღეთ ჩემი გულითადი სალამი და მადლობა თქვენ მიერ გამოგზავნილ გაზეთებისათვის, რომელიც დიდის ინტერესით იქნა აქ მყოფ ჩვენ თანამემამულეთა შორის დარიგებული. თუმცა მე ჩემს სიცოცხლეში არავითარ პარტიის წევრად არა ვყოფილვარ, ამ ბოლო წლების განმავლობაში მაინც მეტად უკმაყოფილო ვიყავი უცხოეთში მყოფ ჩვენ თანამემამულეებზედ და განსაკუთრებით ეგრედწოდებულ ემიგრაციაზედ. გულში მუდამ იმ აზრს ვატარებდი, რომ ეს გზა ყალბი იყო და რომ საქართველოს კეთილის მოსურნეს მოვალეობა რეალურ და საქართველოს საკეთილდღეო პოლიტიკის წარმოებას მოითხოვდა

მე და აქ მყოფ ქართველებსაც მტკიცედა გვაქვს შეგნებული რაც შეიძლება მალე უმაღლესი სასწავლებლის დასრულება და ამ ცოდნის ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ გამოყენება. ამ იდეას დიდიხანია გულში ვატარებდი და ჩვენი ქართველობისაგან თავის გზის შეცვლას დღითიდღე მოველოდი. ამისათვის იყო სწორედ რომ, თქვენი გაზეთის პირველი ნომერის წაკითხვისათანავე, ჩემი გულწრფელი სალამი გიძღვენით და თქვენს ჯგუფს მთელი ჩემი არსებით შეუერთდი. იმედს გამოვსთქვამ, რომ აწი მაინც მოვრჩებით „მინისტრობის შკოლის გათავებას", საქართველოში დავბრუნდებით და ნაყოფიერ ენერგიულ მუშაობას გავსწევთ ჩვენი ერისა და მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ

მიიღეთ რწმენა თქვენდამი პატივისცემისა და გადაეცით გულითადი სალამი ყველა თანამშრომლებს.

ბესარიონ მახარაშვილი

სტუდენტი პოლიტიკურ ეკონომიისა.

Druck von P. Stankiewicz' Buchdruckerei G. m. b. H., Berlin SW 11, Bernburger Straße 14.